# მწვანე ქალაქების ჩარჩო პროექტი (GrCF2 W2) - თბილისის მუნიციპალური მომსახურება

**ქვეყანა:** საქართველო

**პროექტის ნომერი:** 52577

**ბიზნეს სექტორი:** ინფრასტრუქტურა ევრაზია

**შეტყობინების ტიპი:** სახელმწიფო

**გარემოს დაცვის კატეგორია:** B

**საბჭოზე გატანის თარიღი:** 2021 წლის 22 ივნისი

**სტატუსი:** გავლილი აქვს კონცეპტუალური განხილვა. მომზადებულია საბოლოო განხილვისათვის

**პროექტის მოკლე ანოტაციის გამოქვეყნების თარიღი:** 2021 წლის 2 თებერვალი

**პროექტის აღწერა**

9.6 მილიონი ევროს ოდენობის სახელმწიფო სესხი გამოიყოფა შპს თბილსერვის ჯგუფის (შემდგომში „კომპანია“) სასარგებლოდ და გამოყენებული იქნება ტექნიკური მომსახურების მანქანა-დანადგარების, აგრეთვე მარშუტის ციფრული ოპტიმიზაციისა და სატვირთო ავტომობილების პარკის მართვის სისტემების შესაძენად მუნიციპალური მომსახურებების გაწევის მიზნით, რაც მოიცავს; მყარი ნარჩენების მართვას (SWM), ქუჩის განათებას (SL), ქუჩების დასუფთავებასა და სადრენაჟე სისტემის გაუმჯობესებას ქალაქ თბილისში,

**პროექტის მიზნები**

შემოთავაზებული ინვესტიცია შეეხება ნარჩენების მართვისა და ქუჩის განათების მოწყობილობების მოდერნიზაციის პრიორიტეტულ ეკოლოგიურ გამოწვევას, რომელიც განისაზღვრა „მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმით“ ("GCAP") და დამტკიცებულია 2017 წლის სექტემბერს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. პროექტი ეხება SWM და SL აღჭურვილობის მოდერნიზაციის თბილისის პრიორიტეტულ გარემოსდაცვით გამოწვევებს, როგორც ეს აღწერილია თბილისის GCAP– ში.

**გარდაქმნის ეფექტი**

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი: 70 ETI 70

პროექტი არის მწვანე ქალაქების ჩარჩო პროექტის მე-2 ნაწილი ("GrCF2") და თბილისის „მწვანე ქალაქების სამოქმედო გეგმის“ შემდგომი ინვესტიცია.

GrCF2– ის ძირითადი მიზანია მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი გაუმჯობესების მიღწევა და გარდაქმნის ეფექტის მახასიათებელი „მწვანე ეკონომიკა“ დანერგვა შესაბამის ქალაქებში. GrCF2 ასევე მიზნად ისახავს საჭირო შესაძლებლობების შექმნას და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის უკეთესი კოორდინაციის ხელშეწყობას მიზნობრივი ინვესტიციებისა და ინიციატივების მმართველობის, ოპერატიული ეფექტურობისა და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით. GrCF2– ის თანახმად, EBRD კიდევ უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებს GCAP– ის განხორციელებაზე, ქვე-ინვესტიციების მინიმუმ ნახევარი, სავარაუდოდ, შემდგომი ოპერაციები იქნება, რომლებიც შეეხება GCAP– ის მიერ გამოვლენილ კრიტიკულ გარემოსდაცვით გამოწვევებს. ბანკი ასევე შეეცდება გააძლიეროს მხარდაჭერა კონსულტაციებით პოლიტიკის შესახებ, მიღებული გაკვეთილების, მიზნობრივი კვლევებისა და ტექნიკური დახმარების გათვალისწინებით.

გარდაქმნის ეფექტი გამოწვეული იქნება „მწვანე ეკონომიკისა“ და „მართვის მაღალი ხარისხის“. მახასიათებლებით.

პროექტი ხელს შეუწყობს „მწვანე ეკონომიკის“ გარდაქმნის ეფექტის მიზნების პოპულარიზაციას მყარი ნარჩენების მართვისა და ქუჩის განათების სექტორებში გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრის გზით.

გარდაქმნის ეფექტის „მართვის მაღალი ხარისხის“ მიზნები იქნება მარეგულირებელი / ინსტიტუციური გაუმჯობესება და ოპერატიული და ფინანსური მდგრადობა, კორპორატიული განვითარების პროგრამის ("CDP") შემუშავებისა და ქალაქსა და კომპანიას შორის საზოგადოებრივ მომსახურებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების ("PSC") შემუშავებისა და გაფორმების გზით.

**ინფორმაცია კლიენტის შესახებ**

მსესხებელი: საქართველო, რომელსაც წარმოადგენს ფინანსთა სამინსიტრო

მიმღები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: შპს „თბილსერვის ჯგუფი“, (რომელიც ეკუთვნის თბილისის მუნიციპალიტეტს და) რომლის პასუხისმგებლობაა მყარი ნარჩენების მართვა, ქუჩების დასუფთავება, ქუჩების განათება, მუნიციპალურ პარკები და მიწისქვეშა გადასასვლელები ქალაქ თბილისში.

**ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსების ჯამი**

9 600 000.00 ევრო

**პროექტის მთლიანი ღირებულება**

9 600 000.00 ევრო

პროექტი მოიცავს ტექნიკურ თანამშრომლობას პროექტის მომზადებასა და განხორციელების ხელშესაწყობად.

**გარემოს დაცვის და სოციალური საკითხები**

კატეგორია B (2019 წელს დამტკიცებული „გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის" მიხედვით).

პროექტით გათვალისწინებული SWM და SL მომსახურების აღჭურვილობის შეძენასა და ექსპლუატაციას ექნება დადებითი ზეგავლენა გარემოზე ეკოლოგიისა და სოციალური კუთხით. ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედება იქნება სპეციფიკური და მართვადი, „მართვის მაღალი ხარისხის" პრაქტიკისა და აგრეთვე შეთანხმებული და განახლებული გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) დანერგვით.

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სიღრმისეული შესწავლა ეკონომიკური დასაბუთების ფარგლებში (ESDD) ჩატარდა დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ და მოიცავდა არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური პრაქტიკისა და საქმიანობის ანალიზს, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელების სტატუსს და ასევე ახალ პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების შეფასებას.

პროექტი ESDD- მ დაადგინა, რომ კომპანიამ, PIU კონსულტანტის დახმარებით, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტისა და სისტემების დანერგვათ, აგრეთვე მაკორექტირებელი ღონისძიებებით და განაგრძობს მუშაობას გამოვლენილი საკითხების მოგვარებაზე. არსებული ESAP განახლდა და მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ახალ ელემენტებს, როგორიცაა i) სამუშაო პირობების გაუმჯობესება არა-თანამშრომელი დასაქმებულების სოციალური ქმედების მონიტორინგის გზით, ii) ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების თანაბარი შესაძლებლობების გაუმჯობესება თანაბარი შესაძლებლობების სამოქმედო გეგმის (EOAP) შემუშავების გზით, iii) მწყობრიდან გამოსული მანქანებისა, სათადარიგო ნაწილებისა და სახიფათო ნარჩენების საბოლოო უტილიზაციისა და ხელახალი გამოყენების დანერგვა-განხორციელება.

ბანკი მხარს დაუჭერს კომპანიას ტექნიკური თანამშრომლობის (TC) მრავალი პროექტით, რომელიც მოიცავს, inter alia, კორპორატიული განვითარების პროგრამას (CDP), რომელიც დაეხმარება კომპანიას გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის (ESAP) განხორციელებაში.

**ტექნიკური თანამშრომლობა**

პროექტის ხელშეწყობის მიზნით სრულყოფილი ტექნიკური დახმარების პაკეტის შემუშავება არის განსაზღვრული. მოიაზრება შემდეგი ინიციატივების განხორციელება ამ ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში:

TC 1. ეკონომიკური მიზანშეწონილობის ანალიზი ტექნიკური, ფინანსური და ეკონომიკური დასაბუთებით. ამ ინიციატივის ჯამური ღირებულება 75000 ევროს შეადგენს და დაფინანსდება საერთაშორისო დონორის ან EBRD- ის აქციონერების სპეციალური ფონდის ("SSF") მიერ.

TC 2. შესყიდვების მხარდაჭერა. დავალების სავარაუდო ღირებულება 75 000 ევროს შეადგენს, შემოთავაზებულია საერთაშორისო დონორის ან SSF- ის დაფინანსებით.

TC 3. კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამები. ამ დავალების სავარაუდო ღირებულება 400 000 ევროს შეადგენს და დაფინანსდება საერთაშორისო დონორის ან SSF- ის მიერ.

**დამატებითი ღირებულება**

ბანკი ეხმარება ქალაქს გარემოსდაცვითი გამოწვევების მოგვარებაში GCAP– ის დანერგვის გზით.

ბანკი გთავაზობთ დაფინანსებას, რომელიც არ არის ხელმისაწვდომი ბაზარზე კომერციული წყაროებიდან გონივრული პირობებით, რაც აუცილებელია პროექტის სტრუქტურისთვის.

ბანკი უზრუნველყოფს ექსპერტიზას, ინოვაციას, ცოდნას და / ან შესაძლებლობებს, რაც მნიშვნელოვანია პროექტის მიზნების დროულად განხორციელებისთვის, კომპანიის შესაძლებლობების გაძლიერების ჩათვლით.

ბანკი მხარს უჭერს კომპანიას უფრო მაღალი სტანდარტებს მიაღწიოს შესყიდვების საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებსა და უფრო მაღალ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებზე დაფუძნებით.

**კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია**

დავით ბოდოკია dbodokia@gmail.com
www.tbsg.ge

საქართველო, თბილისი 0182, კახეთის გზატკეცილი N7**დაკავშირებული მასალა**

**დაკავშირებული მასალა**

ინფორმაცია ჩარჩო პროექტთან დაკავშირებით
https://www.ebrd.com/work-with-us/projects/psd/50674.html

**შუალედური შედეგი**

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის შუალედური შედეგების გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

**ბიზნეს შესაძლებლობები**

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას.

EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168
ელ. ფოსტა: projectenquiries@ebrd.com

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ EBRD Procurement-ს:
ტელ.: +44 20 7338 6794
ელ. ფოსტა: procurement@ebrd.com

**ზოგადი საკითხები**

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

**გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)**

ESP-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP-ი და PR-ი მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; ასევე შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხების წამოჭრის, საჩივრების მიღების და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვასა და სოციალური საქმიანობასთან დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

**ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა**

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება კომპლექსური საიმედოობის კვლევა, რომლის მიზანიც პროექტების განხორციელებისას პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკის თავიდან აცილებაა. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე, პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ასევე, ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ასევე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე: compliance@ebrd.com. თითოეულ საკითხის შემთხვევაში OCCO-ი დაიწყებს მოკვლევას. მოხდება თითოეული ანგარიშის, მათ შორის ანონიმურის, განხილვა. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.
კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

## პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს.

IPAM-ი დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, რათა გაარკვიოთ, თუ როგორ უნდა შეიტანოთ განსახილველი მოთხოვნა კონფიდენციალური ონლაინ ფორმის საშუალებით, ელ.ფოსტით (email), ფოსტით ან ტელეფონით. IPAM-ი მზად არის განიხილოს მოთხოვნების შეტანასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები და პასუხის გასცეს ნებისმიერ კითხვას, პროექტის

ანგარიშვალდებულების პოლიტიკასა და სახელმძღვანელოსთან შესაბამისობაში. მოთხოვნის შესაბამისად, შესაძლოა, განმცხადებელთა იდენტობების კონფიდენციალურობის დაცვა.